ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის

გიორგი ბირბიჩაძის

ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ვაკის რაიონი, ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა ფშაველას კვარტლები), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის პირველ ნოემბრამდე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 17 კომისიის სხდომის ჩატარებას, კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 333 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე კომისიაში გამოცხადდა 59 მოქალაქე, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

შესწავლილი საკითხები:

2017 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი), მერის მოადგილეების, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსების, რაიონის გამგებლების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემასთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით.

2017 წლის 20 ნოემბრი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (პროექტი კორექტირებისთვის დაუბრუნდა მერიას).

2017 წლის 05 დეკემბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი (საკრებულოს-#12-031733421-03 30.11.2017) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტი.

პროექტის მიხედვით ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის შემდეგი ქვეპროგრამები:

(კოდი 06 01 06) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია 377 000 ლარით;

(კოდი 06 01 07) ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება 643 500 ლარით;

(კოდი 06 01 08) ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება 140 000 ლარით;

(კოდი 06 01 12) ,,C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა 215 000 ლარის ოდენობით;

(კოდი 06 01 13) ტრანსპლანტაცია 1 000 000 ლარის ოდენობით;

კოდი 06.01.02 დაავადებათა სკრინინგი მცირდება 300 000 ლარის ოდენობით;
მიზეზი - პროგრამა გადავიდა ვაუჩერულ დაფინანსებაზე, შესაბამისად ზოგიერთი მიმწოდებელი კლინიკა, ეტაპობრივად წლის შუა თვეებში ჩაერთო.

(კოდი 06.01.09) ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია შემცირდა 200 ლარის ოდენობით;

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ქვეპროგრამების ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით (კოდი 06 01 06, 06 01 07, 06 01 08, 06 01 12, 06 01 13)



2017 წლის 13 დეკემბერი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (08.12.2017. №12-031734272-03).

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განისაზღვრა- 189 539,5 ათასი ლარით.

პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 47 694,0 ათასი ლარი, მათ შორის:

(კოდი 06 01 02) დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამას დაემატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს ულტრაბგერით გამოკვლევას და ენდოკრინოლოგის კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას ან/და ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას. ქვეპროგრამის მიზანია: სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის შემცირების გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება.

(კოდი 06 01 13) ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამას დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას. ღვიძლის ტრანსპლანტაცია შესაბამისი დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ხშირად გადარჩენის უალტერნატივო მეთოდს წარმოადგენს. ქვეპროგრამის მიზანია:

ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ღვიძლის ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გრძელდება ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამები. გაზრდილი ოდენობებით არის ასევე წარმოდგენილი აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების პროგრამა დაგეგმილია 31 994,9 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 500,0 მლნ ლარია, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 400,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 700,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 575,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 025,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 625,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 175,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი.

2017 წლის 26 დეკემბერი

1."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ'' პროექტი. (#12-031735686-03 22.12.2017)

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (# 12-031735689-03 22.12.2017)

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (#12-031735688-03 22.12.2017)

დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-92 დადგენილება გამოცხადდეს ძალადაკარგულად და დამტკიცდეს ახალი რედაქციით.

„დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც მოიცავს ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი რისკის მქონე, ასევე, ექიმი სპეციალისტის ან/და ოჯახის ექიმის მიმართვის მქონე ქალებში. ემატება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის საპილოტე კომპონენტი. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვისათვის მეორად სკრინინგად მითითებულია 5 წლიანი რეკომენდირებული პერიოდი. ამასთან, ძუძუს ფიზიკალური გასინჯვის მომსახურების კომპონენტი გადავიდა მამოგრაფიულ გამოკვლევასთან, გამოცალკევდა ძუძუს ულტრაბგერითი გამოკვლევის მომსახურების კომპონენტი, შესაბამისად შეიცვალა მომსახურების ღირებულებები. წარმოდგენილი პროექტით ასევე მტკიცდება ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია და წესი, მოსარგებლე პირების ქვეპროგრამაში ჩართვის წესი, ანგარიშგება, ქვეპროგრამის მიმდინარეობის შემოწმებისა და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების წესი, ასევე გაწერილია მომსახურებების ღირებულება, დადგენილია მიმწოდებლად რეგისტრაციისათვის დამტებითი კრიტერიუმები და გარდამავალი დებულება შესრულებული სამუშაოს წარმოდგენასა და მიმწოდებლის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. ქვეპროგრამის

განმახორციელებელს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური.

„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, კერძოდ განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა. გათვალისწინებულია განხორციელების მექანიზმი, ანგარიშგების პირობები, ქვეპროგრამის მიმდინარეობის შემოწმება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების წესი. ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“ (ს/კ 205271365).

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, გათვალისწინებულია განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია და წესი, მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, ვაუჩერის გაუმების პირობები, ანგარიშგება, ქვერპოგრამის მიმდინარეობის შემოწმებისა და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების, ასევე ანაზღაურების წესი. ამასთან გაწერილია დამატებითი კრიტერიუმები მიმწოდებლის შერჩევისათვის. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, ასევე პირები, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი, ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. წარმოდგენილი პროექტით, წინა წლისაგან განსხვავებით იზრდება დაფინანსებული ბენეფიციარების თვის ლიმიტი, კერძოდ 700 ბენეფიციარის ნაცვლად ფინანსდება 820 ბენეფიციარი. მომსახურების მიმწოდებლის მიერ, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია გამოუქვითოს პირობების დარღვევის თვის შესრულებული სამუშაოს 5 %.

„C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია, მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპები, ანგარიშგება, ქვერპოგრამის მიმდინარეობის შემოწმებისა და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების წესი. ამასთან ცხრილის ფორმით გათვალისწინებულია მომსახურებების ღირებულებები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მოცულობა გულისხმობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისათვის მკურნალობის პროცესის მონიტორინგის კვლევების თანადაფინანსებას, არაუმეტეს ამ წესით დადგენილი ტარიფების 30%-ით უზრუნველყოფას. ამასთან მტკიცდება „მკურნალობის მონიტორინგის კვლევების ღირებულება“ (2017 წლის 1 აპრილიდან დაწყებული კვლევები) ცხრილი დიაგნოსტიკური ჯგუფი ღირებულების მითითებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრება პირი, რომელიც ამავე დროს არის ,,C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება.

„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია, მოსარგებლის ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, ანარიშგება და ანაზღაურების წესი. ამასთან გათვალისწინებულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები და ქვეროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების ღირებულებები (ცხრილის სახით). ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს მაღალდოზირებულ ქიმიოთერაპიას, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის წინა კვლევებს, ტრანსპლანტაციასა და ღვიძლის ტრანსპლატაციას. წინა წელთან შედარებით დაემატა ღვიძლის ტრანსპლანტაციის მომსახურება. პროექტით გათვალსწინებულია ცხრილი მომსახურებების დასახელებებისა და ღირებულებების მითითებით.

„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია და წესი, მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა და ვაუჩერის გაუქმების პირობები. პროექტით გათვალისწინებულია ანგარიშგების პირობები, ქვერპოგრამის მიმდინარეობის შემოწმების, შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი და დამატებითი კრიტერიუმები მიმწოდებლისათვის. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბის დაფინანსებას; კონსილიუმის დასკვნის საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში - ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბის დაფინანსებას; კონსილიუმის დასკვნის საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბის დაფინანსებას.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000- ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ამ წესით გათვალისწინებული მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს), მედიკამენტი „ტრასტუზუმაბის“ (მეტასტაზურის შემთხვევაში) დაფინანსების შემთხვევაში ამ წესით გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 50%-ს).

„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც პირველ რიგში განმარტებულია ტერმინები, გათვალისწინებულია ქვეპროგრამის მოსარგებლეები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგარმის განხორციელების მექანიზმი, დაფინანსების მეთოდოლოგია და წესი. ამასთან განსაზღვრულია მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, ქვეპროგრამიდან გასვლის საფუძვლები, ანგარიშგება, ქვერპოგრამის მიმდინარეობის შემოწმების, შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი. ამასთან, დადგენილია დამატებითი კრიტერიუმები მიმწოდებლისათვის.

„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“(კოდი: 06 02 25) და „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვისმე-3,მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამების განხორციელების წესი”, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები და ანგარიშგების ფორმა. პროექტით იცვლება მომსახურე ბანკი, რაც იწვევს დახმარების გაცემის პროცედურის შეცვლას, კერძოდ აღარ მოწმდება ქვეპროგრამის მოსარგებლის დახმარების გაცემის წინა თვის მდგომარეობა, არამედ მხოლოდ - მიმდინარე პერიოდი. იმისათვის, რომ პირმა მიიღოს დახმარება, მას მომსახურე ბანკში უნდა უფიქსირდებოდეს აქტიური ანგარიში. ამასთან, პროექტის თანახმად, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ქვეპროგრამის მოსარგებლეების სიას უგზავნის მომსახურე ბანკს ყოველი თვის 10 რიცხვამდე, ხოლო მოქმედი რედაქციით მითითებულია 20 რიცხვი. აღნიშნული ვადა შემცირდა ვინაიდან ქვეპროგრამის განმახორციელებლისათვის საკმარის დროს წარმოადგენს თვის 10 რიცხვი.

„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი”, კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია ოჯახი. ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით.

„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ ქვეპროგრამების (კოდი: 06 02 24) განხორციელების წესი”, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ვინაიდან 2017 წელს შეიცვალა მომსახურე ბანკი, შეიცვალა დახმარების გაცემის პროცედურა, მოწმდება დახმარების გაცემის თვის წინა თვის მდგომარეობის ამსახველი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ პირის რეგისტრაცია. ამასთან, მომსახურე ბანკის მიერ მოწოდებულ მონაცემებში, დახმარების გადარიცხვის მომენტისათვის უნდა ფიქსირდებოდეს, დახმარების მიმღები პირის სახელზე აქტიური (გატანილი) საბანკო ბარათი. ასევე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 2017 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2017 წელს მოქმედი წესის შესაბამისად 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირთათვის, რომლებიც განცხადებას წარმოადგენენ 2017 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ასევე იმ მოსარგებლეებისათვის, რომლებზეც ბარათის გატანის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნება 2018 წლის 10 მარტამდე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური მომსახურე ბანკიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყოველი თვის 20 რიცხვამდე ადგენს თანხის მიმღები პირებისათვის დახმარების

გადარიცხვის რეესტრს და წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი თანხების ჩარიცხვას საბანკო ანგარიშებზე.

„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი“, კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი, ცხრილის სახით თანდართულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის მოსწავლეთა თვიური ლიმიტის ოდენობები. ამოღებულია მონიტორიგის მიღება-ჩაბარების აქტებთან დაკავშირებული პუნქტები, ვინაიდან განხორციელების პროცესში ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული იწვევდა რესურსის არაეფექტურ ხარჯვას.

„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ვაუჩერის პირობები, ანაზღაურება და ანგარიშგების წესი. ამასთან პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი. განსაზღვრულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მომსახურების ხანგრძლივობა (3 თვე) შესაძლებელია გაგრძელდეს სამედიცინო დოკუმენტაციაში (ფორმა №IV-100/ა) მითითებული საჭიროების საფუძველზე, დამატებით ერთი ვადით (3 თვე), მხოლოდ ერთჯერადად. მომსახურების უწყვეტობის მიზნით, 2017 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2018 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

„შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება, კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ანგარიშგების წესი. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი. პროექტით გათვალისწინებულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები, ბართელის კითხვარი და თანხმობის ბარათის ფორმა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გაიზარდა მომსახურების დაფინანსების მოცულობა, კერძოდ, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის ვაუჩერის ღირებულება 540 ლარის ნაცვლად შეადგენს 567 ლარს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის - 360 ლარის ნაცვლად, 378 ლარს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის - 208.8 ლარის ნაცვლად, 219 ლარი, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის - 270 ლარის ნაცვლად, 284 ლარი, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-დან 200001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის - 180 ლარის ნაცვლად, 189 ლარი, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-დან 200001- მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირისათვის - 104.4 ლარის

ნაცვლად, 110 ლარი. ამასთან, უწყვეტობის მიზნით, 2017 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2018 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

2018 წლის 09 იანვარი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა(12-03180033-03 03.01.2018).

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ დაადგინა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, დადებითი რეკომენდაციით განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

2018 წლის 15 იანვარი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოცილური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318012172-03).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (#12-0318012172-03).

2018 წლის 16 თებერვალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებები შემცირდა 44,300 ათასი ლარით, მათ შორის: თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 44,300 ლარით, რაც გამოწვეული იყო ახალი საშტატო განრიგის დამტკიცებით, რომლის თანახმად მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 3 ერთეულით.

2018 წლის 01 მარტი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა(#12-03180591-03 28.02.2018).

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა(#12-03180575-03 26.02.2018).

წარმოდგენილი პროექტით, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე, იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოებულ „დევნილთა მონაცემთა ბაზაში" არის ქალაქი თბილისი, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" (ს/ნ 406153111) ბენეფიციარები. ამასთან გათვალისწინებულია წესის მოქმედების სფერო, ქვეპროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელი პროცედურები, განცხადების განხილვა, დაფინანსების პროცედურები, დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირების პირობები, დაფინანსების ოდენობა, თანხის ანაზღაურების პროცედურა და კონტროლის განხორციელების მექანიზმი. პროექტის მიხედვით ელექტრონულ სისტემაზე გადავიდა მოქალაქეთა მომსახურება.

2018 წლის 13 აპრილი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების" წლიური ანგარიშის შესახებ 12-031805975-03 (05.03.2018).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის №3-9 დადგენილება. პროექტის მიღებას არ გამოუწვევია დამატებითი ხარჯების გაწევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან.

2018 წლის 03 მაისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (12-031811552-03 25.04.2018).

1. წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში. შეუცვალა დადგენილების სათაური და თავშესაფართან ერთად ეთითება საცხოვრისი, შესაბამისად მთლიანი წესი დაკორექტირდა ამ სათაურის შესაბამისად.

2. დაემატა ჩანაწერი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებისთვის.

3. საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის განისაზღვრა უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა, კონკრეტულ ქულათა მინიჭების სისტემით. ქულათა სრული დამთხვევის შემთხვევაში, კომისია პირის/ოჯახის თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების რიგითობის დასადგენად ატარებს კენჭისყრას და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მაღალია თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

4. წარმოდგენილი პროექტით, თუ საცხოვრისის არსებული ფართების რესურსი ოჯახის ყველა წევრისათვის არ შეესაბამება საორიენტაციო საცხოვრებელ ფართს, დასაშვებია ოჯახისათვის ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა.

5. პირის/ოჯახის მიერ თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირის/ოჯახის განაცხადი განმეორებით არ განიხილება მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში.

6. წესში დაკორექტირდა კომისიის რეკომენდაციების სახეები, იმ შემთხვევაში თუ პირი რეგისტრირებულია უსახლკაროდ, თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის საკითხის განხილვის ეტაპზე, კომისია იღებს რეკომენდაციას ან თავშესაფრით დაკმაყოფილების შესახებ ან სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილების შესახებ.

7. პირველ რიგში კმაყოფილდება უფრო მაღალი ქულის მქონე პირები/ ოჯახები. იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირდება უსახლკაროდ, მაგრამ ვერ დაკმაყოფილდა საცხოვრისით, იგი ავტომატურად ჯდება მომლოდინეთა სიაში.

8. კომისია საჭიროებისამებრ ამოწმებს აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფილი პირი/ოჯახი, ამ წესით გათვალისწინებულ უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს.

2018 წლის 24 მაისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (# 12-031812415-03 04.05.2018).

2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში შევიდა ცვლილება:

1. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი №3) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. იმისათვის, რომ პირი გახდეს პროგრამის მოსარგებლე, მიზანშეწონილია, თბილისში რეგისტრირებული იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად.

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც შეეხება ინდივიდუალური გეგმის ცვლილების შემთხვევებს, დაწესებულებებმა კორექტირებული გეგმის წარდგენა უნდა შეძლონ წინა თვის ბოლო რიცხვამდე, ნაცვლად წინა თვის 25 რიცხვისა. აღნიშნულის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელია შეფერხების გარეშე.

3. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ცვლილების თანახმად 6 თვეში ერთხელ ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასებასთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოდგენა განხორციელდება ელექტრონულად.

4. იმისათვის, რომ ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურებები იყოს უფრო მოქნილი და ბავშვის საჭიროებაზე ორიენტირებული, ქცევითი თერაპევტების მიერ შემოთავაზებულ იქნა მოსარგებლეების ასაკობრივი დაჯგუფება და გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიების რაოდენობების შესაბამისი განსაზღვრა:

- თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში 2-7 წლის ასაკის მოსარგებლეებისათვის გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიები უნდა შეადგენდეს მინიმუმ 14 სეანსს, 8-12 წლის

ასაკის მოსარგებლეებისათვის - მინიმუმ 12 სეანსს, 13-15 წლის ასაკის მოსარგებლეებისათვის - მინიმუმ 10 სეანსს;

- თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიების ოდენობამ 2-7 წლის ასაკის მოსარგებლეებისათვის უნდა შეადგინოს სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10, 8-12 წლის ასაკის მოსარგებლეებისათვის - სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10, 13-15 წლის ასაკის მოსარგებლეებისათვის - სეანსების ოდენობის არანაკლებ 5/10.

5. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი №3) მე-5 მუხლიდან ამოღებულია შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ჩამონათვალიდან, ვინაიდან აუტისტ ბავშვებს, ძირითადად არ გააჩნიათ აღნიშნული დოკუმენტი, ხოლო არსებობის შემთხვევაში დოკუმენტის წარმოდგენა არ მოქმედებს მოსარგებლედ ცნობის პროცესზე. ასევე, შეიცვალა დაინტერესებული პირის პროგრამაში ჩართვის პროცედურები. ნაცვლად ქვეპროგრამის განმახორციელებლისა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური), დაინტერესებული პირი მიმართავს იმ დაწესებულებას, რომელშიც სურს მომსახურების მიღება. ვაკანტური ადგილის გაჩენის შემდგომ პროგრამაში ჩართვის მიზნით დაწესებულება თავად წარადგენს განმახორციელებელთან იმ პირის შესახებ დოკუმენტაციას, რომელმაც უფრო ადრე მიმართა დაწესებულებას ჩასართავად. მე-5 მუხლის ცვლილებიდან გამომდინარე, მოსარგებლე პირი დაწესებულებას მიმართავს ასევე იმ შემთხვევაში, თუ მას სურს დაწესებულების შეცვლა.

6. მე-5 მუხლს დაემატა ,,გ'' ქვეპუნქტი, რის საფუძველზეც მოსარგებლისათვის გაცემული არამატერიალიზებული ვაუჩერის გაუქმების შემთხვევაში მოსარგებლის დიაგნოზის შეცვლა/ მოხსნა უნდა დასტურდებოდეს მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (ფორმა №IV-100/ა).

7. მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებისათვის მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილება შემცირდა 3 წლიდან 1 წლამდე, რათა ახალ დაწესებულებებს მალევე მიეცეს პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების მაღალი ხარისხი, დაწესებულება ვალდებული გახდება ჰყავდეს სულ მცირე, ერთი ქცევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), რომელსაც აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის საერთაშორისო სერთიფიკატი (BCaBA, BCBA).

8. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ცვლილების თანახმად მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (მათ შორის სენსორული თერაპიის ერთი-ერთზე განსახორციელებლად).

9. „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში” წარმოდგენილი პროექტით ამოღებულია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რაც განპირობებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვის (ფორმა N3) ელექტრონული სისტემის ამოქმედებით, რომლის მეშვეობითაც ნაცვლად ექიმის მიერ რეცეპტის ქაღალდმატარებლის სახით პაციენტისათვის გაცემისა, რეცეპტი ელექტრონულად იგზავნება შესაბამის სააფთიაქო ქსელში.

ასევე წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“, კერძოდ, მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვის ან მიმწოდებლის მიერ მულტიდისციპლინური გუნდის დამატების შემთხვევაში, აღნიშნული

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 31 აგვისტომდე, რომლის ჩართვაც მოხდება მომდევნო საბიუჯეტო წლის 1 იანვრიდან.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2018 წლის 24 მაისის კომისიის სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი ცვლილების პროექტი. არსებული ტექნიკური შენიშვნების გარდა კომისიის წევრების გადაწყვეტილებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დაკორექტირდეს წარმოდგენილი პროექტის ,,მუხლის 1-ის ,,ბ'' ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,ბ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში 2 წლის) განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში''.

2018 წლის 15 ივნისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.(#12-031816495-03; 13.06.2018)

1. გაიზრდა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების (კოდი: 06 02 11) ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2 927 600 ლარის ოდენობით.

2. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში (კოდი: 06 02 20 02) ქვეპროგრამის ასახვა მოხდა მთაწმინდის რაიონში და ქვეპროგრამის მოცულობა აღნიშნულ რაიონში განისაზღვრა 17 500 ლარის ოდენობით.

3. შემცირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის (კოდი 06 01 01) მოცულობა 16 800 ლარის ოდენობით.

2018 წლის 12 ივლისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (# 12-0318187192-03 06.07.2018).

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში, კერძოდ:

1.“ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის” (დანართი #5) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8. მიმწოდებლისათვის დადგენილი დამატებითი პირობები.

2. ამ წესის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საქართველოში გაწევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება არაუმეტეს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული ტარიფისა;

ბ) საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მეშვეობით უზრუნველყოს ბენეფიციარისათვის საჭირო ამ წესის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა მომსახურების გაწევა.

3. ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება არაუმეტეს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული ტარიფისა;

ბ) ჰქონდეს მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, ორწლიანი გამოცდილება.

გ) მომსახურება განხორციელებული ჰქონდეს მინიმუმ 5-ჯერ.

დ) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება სპეციალისტის მეშვეობით, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება მინიმუმ 5-ჯერ. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს ბენეფიციართათვის სერვისის მომსახურების სრულყოფას.

2. ასევე წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“(დანართი #6), კერძოდ:

2.ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, ან“;

2.ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ბოლო 2 წლის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი)“.

2018 წლის 24 აგვისტო

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის № 8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (12-0318222175-03; თარიღი 10.08.2018).

2018 წლის 11 სექტემბერი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (12-0318222175-03 10.08.2018).

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებაში, კერძოდ:

1.“დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში”(დანართი #1) და წესის:

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე, განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს წერილობით შეტყობინებით გაუუქმოს ქვეპროგრამაში რეგისტრაცია“.

ბ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრი“(ს/კ 202442730) (შემდგომში - ცენტრი) უზრუნველყოფს მის ბაზაზე არსებული ელექტრონული სინფორმაციო პროგრამის (შემდგომში- საინფორმაციო პროგრამა) დანერგვას ქვეპროგრამის მიმწოდებლებთან განმახორციელებლის შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა“.

გ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

1. განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს ცენტრის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმებას ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებლის შესაბამისი ქვედანაყოფი ქვეპროგრამის განმახორციელებლის დებულების შესაბამისად.

დ) მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატება 1’პუნქტი და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1’. „ცენტრი უზრუნველყოფს ქვეპროგრამის მიმწოდებლის /მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას, გარდა ცენტრის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით. ცენტრი ყოველთვიურად წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს შემოწმების შედეგებს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან წინამდებარე პროექტის მიხედვით, ქვეპროგრამის მიმწოდებლად და მისი საქმიანობის მაკონტროლებელ ორგანოდ მოიაზრებოდა იდენტური დაწესებულება, რაც ამავდროულად ქმნიდა ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნა დადგენილების პროექტში ცვლილება. კერძოდ, მოქმედი რედაქციით, ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრის („ეროვნული სკრინინგ ცენტრი“) მიერ განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას უზრუნველყოფს ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური). ამასთან, ცენტრს („ეროვნული სკრინინგ ცენტრი“) ენიჭება უფლებამოსილება უზრუნველყოს მიმწოდებლის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმება.

<u>სხვა აქტივობები</u>

14 ივნისი - საკრებულოში შშმ პირთა მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაიმართა. „თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები ყველას!“ - 14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება.

კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით, საინფორმაციო ხასიათის გამოფენა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც თბილისის სოციალურ საწარმოებში დასაქმებულ შშმ პირთა და რვა სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლა-პანსიონის ბენეფიციარების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები იყო წარმოდგენილი. ღონისძიება მუსიკალურად პარაორკესტრმა გააფორმა.

ექსპოზიციას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს წევრები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ღონისძიების მიზანი შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია, შშმ პირთა შესაძლებლობების წარმოჩენა და მათი საქმიანობის შესახებ ცნობიერებისა და თვითშეგნების ამაღლება იყო.

14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე საქართველოში 2000 წლიდან, პარლამენტის გადაწყვეტილებით აღინიშნება.

26 ივნისი - ვიზიტი ორხევსა და ლილოში სოციალურ საცხოვრისსა და მიუსაფართა თავშესაფარში.

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე, კომისიის წევრებთან და სამდივნოს თანამშრომლებთან ერთად ორხევის სოციალურ საცხოვრისში იმყოფებოდა, სადაც იქ მცხოვრები ბენეფიციარების საცხოვრებელ პირობებს გაეცნო. ორხევის დასახლებაში, მუხაძის ქუჩაზე მდებარე 75 ბინიან სოციალურ საცხოვრისში ამჟამად 23 ოჯახი ცხოვრობს.

გიორგი ბირბიჩაძე ლილოში მდებარე თბილისის მიუსაფართა თავშესაფარსაც ეწვია, რომელიც 240 ბენეფიციარზეა გათვლილი. საცხოვრისში ამჟამად 118 ადამიანი ცხოვრობს. ბენეფიციარები 24 -

საათიან რეჟიმში იღებენ პირველად ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, მათ 5 სოციალური მუშაკი და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგი ემსახურებათ.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამდივნო მჭიდროდ თანამშრომლობს კომისიის წევრებთან და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურთან და აქტიურად არის ჩართული კომისიის დებულებით განსაზღვრულ აქტივობებში.

19 თებერვალი - სკოლის მოსწავლეებს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი ჩაუტარდათ



თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ბირბიჩაძის ინიციატივით, ავჭალის რაიონის სკოლის მოსწავლეებს პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხზე ტრენინგი ჩაუტარდათ.

საკრებულოს წევრმა გიორგი ბირბიჩაძემ მოსწავლეებთან შეხვედრა სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ტრენინგ-ცენტრში გამართა და მასში მონაწილეობა ავჭალის რაიონის სხვადასხვა სკოლის ოცმა მოსწავლემ მიიღო. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმებმა ახალგაზრდებს პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული კურსი ჩაუტარეს.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი. აღნიშნულ პერიოდში კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია 11929 ბენეფიციარს შემდეგი კლასიფიკაციით:

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში მოქმედი კომისიის მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	
დაავადების კლასი	**დაფინანსებულთა რაოდენობა**
ინფექციური დაავადებები	95
სიმსივნეები	2730
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	654
ენდოკრინული სისტემის კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	346
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	332
ნერვული სისტემის დაავადებები	724
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	551
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	2930
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	224
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	458
ძვალ კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	1131
შარდ სასქესო სისტემის დაავადებები	542
ორსულობა მშობიარობა და ლოგინობის ხანა	37
თანდაყოლილი მანკები დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	164
განვითარების ეტაპების დაყოვნება	512
დაზიანებები ტრავმები მოწამვლები	235
ყველა სხვა დაავადება	264



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მაჟორიტარი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;

- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიური მუშაობის რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიროტორიაზე ვრცელდება ვაკის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა. კერძოდ: ვაჟა ფშაველას ტერიტორიული ერთეულის და ნუცუბიძის ტერიტორიული ერთეულის.
თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, ასევე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

ქალაქ თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარი წევრის, გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომდგენლობის მიერ დაგეგმილი გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან ან სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგისთვის ხორციელდება ასევე, არასამუშაო დღეებშიც.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ყოველ ოთხშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული პრობლემები:

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძის მოალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება

სოციალური მიმართულებით:

- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის ერთჯერადი ფინანსური დახმარების საჭიროება
- მოსახლეობის დასაქმება

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა

- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება
- გარე განათების ბოძების ნაკლებობა
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისათვის ურნების სიმცირე

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა
- დაზიანებული გაჩერების ადგილების შეკეთება

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება

განხორციელებული აქტივობები:

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა - გიორგი ბირბიჩაძემ და მისმა წარმომადგენლობამ კონსულტაცია გაუწია 155 მოქალაქეს და საკრებულოს წევრის შუამდგომლობით მედიკამენტებსა და ოპერაციაზე შემოსული 52 გაცხადებიდან დაკმაყოფილებულია 40. ასევე, შუამდგომლობა გაეწია სამთავრობო, სხვადასხვა სტრუქტურაში 8 ადამიანს. მისი ინიციატივით თბილისის საკრებულოში შეზღუდულ-შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მინი კონცერტის წარმოდგენა გაიმართა. მოსახლეობის მოთხოვნით კონკრეტულ მისამართებზე განხორციელდა 23 შეხვედრა, რომელთა უმრავლესობა ვაკის რაიონის გამგეობის ბიუჯეტის გათვალისწინებით დაკმაყოფილებულია.

მაჟორიტარი წევრი გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული ინიციატივები:

დასაქმების ფორუმი

2018 წლის 10 ივლისს მაჟორიტარი წევრის ინიციატივითა და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მხარდაჭერით, ვაკის რაიონში კერძოდ, ვაკის პარკში მდებარე მედიათეკაში გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობისათვის რაიონში ხელმისაწვდომი ვაკანსიების გაცნობას. დასაქმების მსურველებს საშუალება მიეცათ გასაუბრებოდნენ დამსაქმებლებს და მათთვის სასურველ ვაკანსიებზე განცხადებები შეევსოთ. ფორუმში მონაწილე 17-მდე კომპანიამ შრომის ბაზარზე არსებული 2000-მდე აქტიური ვაკანსია წარადგინა.

2018 წლის 14 ივნისს 199-ე საშუალო სკოლაში ქალაქის მერთან ერთად ჯანსაღი ცხოვრების წესის გაცნობის პროგრამის დანერგვა მოხდა.

სამაჟორიტარო უბნებში, ვაჟა ფშაველასა და ნუცუბიძეზე არსებულ საბავშო ბაგა-ბაღებში მაჟორიტარი რეგულარულად ახორციელებს შემოვლით პროგრამებს; რაც გულისხმობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ ან წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირებას, ადგილზე გაცნობას, შესწავლასა და შემდგომ შემლებისდაგვარად აღმოფხვრას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვულყოფა

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ჩართულია, სამაჟორიტარო ოლქში არსებული ორი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით მაჟორიტარი წევრის მიერ პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ვაკის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

დასახელება	ბენეფიციართა რაოდენობა
ოპერაციების დაფინანსება	197
გამოკვლევების დაფინანსება	118
მკურნალობის დაფინანსება	179
მედიკამენტების დაფინანსება	3010
ერთჯერადი ფულადი დახმარება	1029

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სოციალური ქულების გადამოწმების მიზნით გადაგზავნილია 13 განცხადება.

ინფრასტრუქტურა

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ვაკის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ✓ გზების და ქუჩების ორმოული შეკეთება
- ✓ სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა
- ✓ კიბეებისა და საყრდენი კედლების მოწყობა
- ✓ სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობა

დასრულდა საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტერიტორიას და ბაგებს აკავშირებს. ხიდის პირვანდელი აგების შემდეგ არანაირი სარემონტო სამუშაო არ ჩატარებულა- მოხდა ხიდის სრული რეაბილიტაცია. შეზრუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალური პანდუსი მოეწყო. მნიშვნელოვანია, რომ ამ ხიდის არსებობა პირველყოვლისა იმ მოქალაქეებს შეუქმნის კომფორტს, ვინც ყოველდღიურად სარგებლობს.

რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ფარგლებში, ხიდზე ასფალტის საფარი გამოიცვალა, გამაგრდა ბურჯები და გარდამავალი ფილა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა, შეიღება მოაჯირები, ხოლო „თბილსერვის ჯგუფმა“ განათების სისტემა განაახლა. გარდა ამისა, კეთილმოეწყო ხიდთან მისასვლელი გზები, აღდგა დაზიანებული კიბეები და დამცავი კედლები ფილებით მოპირკეთდა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

სამუშაოები განხორციელებულია შემდეგ ქუჩებზე:

ვაჟა ფშაველას მე-2 კვ. №24 კორპუსის მიმდებარედ	448 კვ.მ
ვაჟა ფშაველას მე-2 კვ. №151 სკოლიდან ნუცუბიძის ქუჩა	1531 კვ.მ
ნუცუბიძის მე-4 მ/რ, მე-3 კორპუსის მიმდებარედ	620 კვ.მ
ვაჟა ფშაველას მე-2 კვ. №32 კორპუსის მიმდებარედ	882.5 კვ.მ
ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-3 კვ. №10 და №8 კორპუსის მიმდებარედ	2047.8 კვ.მ
ნუცუბიძის ფერდობი (ტაქსოპარკის მიმდებარედ)	989 კვ.მ
ნუცუბიძის პლატო, მე-4 მ/რ, კაპანელის შესახვევიდან ეკლესიამდე	378 კვ.მ
პოლიტოვსკაიას #18ბ კორპუსთან მისასვლელი გზა	913.3 კვ.მ
ნუცუბიძის პლატო, მე-3 მ/რ, 1 კვარტალი, 15 კორპუსის მიმდებარედ	730.7 კვ.მ
პიკასოს ქუჩის ზედა ნაწილი	399 კვ.მ
ნუცუბიძის პლატო, მე-3 მ/რ, 1 კვარტალი, #14 და #16 კორპუსის მიმდებარედ	1450 კვ.მ
ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-3 კვ. #11 კორპუსის მიმდებარედ	857.5 კვ.მ
ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ #6 და #7 კორპუსების მიმდებარედ	1630.7 კვ.მ
ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ #25 კორპუსის ეზო	747.9 კვ.მ
ვაჟა ფშაველას მეr კვ კორპ ნ13	520.9 კვ.მ
ნუცუბიძის მე4 მრ კორპ ნ18	2208 კვ.მ
ვაჟა ფშაველას მე-2 კვ ნ 23ა	834 კვ.მ
ვაჟა-ფშაველას 2 კვ ნ8	234 კვ.მ
პოლიტკოვსკაიას 9ა	868.8 კვ.მ
ვაჟა - ფშაველას მე-2 კვ. #12 და #18 კორპუსების მიმდებარედ	591 კვ.მ
მამასახლისოვის ქუჩა	3190 კვ.მ
ვაჟა - ფშაველას მე-2 კვ. #9 გ კორპუსების ეზო	923.5 კვ.მ
ვაჟა - ფშაველას მე-2 კვ. #11ბ და #12 კორპუსებს შორის გზა	556 კვ.მ
ნუცუბიძის მე-2 მ/რ 1 კვ. #3ა კომპუსის მიმდებარედ	770 კვ.მ
ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ. #19 კორპუსის ეზო	702 კვ.მ
სოფელი ლისი კეჭაყმაძის 1 ჩიხი # 21-თან მისასვლელი გზა	1451.45 კვ.მ
ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ #38 კორპუსის ეზო	742.7კვ.მ
ნუცუბიძის პლატო IV მკ/რ. კაპანელის 7-მდე მისასვლელი გზა	328 კვ.მ
ვაჟა ფშაველას 6 კვ 2 და 6 კორპუსები	3332 კვ.მ
გამრეკელის ქ. N37ა	285.8კვ.მ

გზებისა და ქუჩების ორმოული შეკეთება

ქავთარაძის ქუჩა №27-ის მიმდებარედ	464 კვ.მ
ო.ჩხეიძის ქუჩა	669 კვ.მ
ნუცუბიძის 4 მ/რ გერმანული სკოლის მიმდებარედ	222 კვ.მ
კაპანელის ქუჩა ავტობუსის გაჩერებასთან	32 კვ.მ

ვაჟა ფშაველას მე-6 კვარტალი #10-12 კორპუსების მიმდებარედ	224 კვ.მ
ვაჟა ფშაველას მე-4 კვარტალი #7, #9, #13, #17, #19-23 კორპუსების მიმდებარედ	880 კვ.მ
იოსელიანის ქ. N105	411.8 კვ.მ
ფერმწერთა მეორე ჩიხი	88.3 კვ.მ
ნუცუბიძის 4 მ/რ კორპ 24	42.5 კვ.მ

სკვერების რეაბილიტაცია

ვაჟა-ფშაველას 5 კვ, 2 კორპუსი
ნუცუბიძის 4 მ/რ 24 კორპუსის მიმდებარედ
ნუცუბიძის 3 მ/რ 1 კვ კორპ 12
ნუცუბიძის 4 მ/რ კორპ 36
ვაჟა-ფშაველას 1 კვ, 2 - 3 კორპუსი

სპორტული მოედნების მოწყობა

ქავთარაძის 27
ვაჟა ფშაველას 2 კვ 30 კორპ
ვაჟა ფშაველას 4 კვ 24 კორპ
ნუცუბიძის 4 მ/რ 55 კორპუსის მიმდებარედ

კედლებისა და კიბეების მოწობა

კედლები

ნუცუბიძის 3-1-12 უკანა მხარეს
თხინვალა. ა.აბულაძის 1 შესახვევი #2
ნუცუბიძის 3-1-16 უკანა მხარეს

კიბეები

ნუცუბიძის 4 მ/რ კორპ 12
ნუცუბიძის ქ 211
ნუცუბიძის 4 მ/რ კორპ 28-29 შორის კიბე
ვაჟა ფშაველას 5 კვ კორპ 2 მიმდებარედ

ტრენაჟორების მოწყობა

ვაჟას 2 კვარტ კორპ. 37
ნუცუბიძის 2 კვ 2 კორპ ბ.2
შ. ნუცუბიძის სახ. სკვერი. 3-1-12

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 505 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში 100 მდე მისამართზე განახორციელა სხვადსხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გიორგი ბირბიჩაძე - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი

2017 წლის ნოემბრიდან დღემდე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ 21 სხდომა ჩატარდა. გიორგი ბირბიჩაძე დაესწრო კომისიის 12 სხდომას. შესწავლილი საკითხების რაოდენობა- 114.

2017 წლის 17 ნოემბერი (გაერთიანებული სხდომა)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი), მერის მოადგილეების, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსების, რაიონის გამგებლების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემასთან და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით.

2017 წლის 22 ნოემბერი

1. სახელდების და სიმბოლიკის კომისიის მუშაობის პრინციპი, სამუშაო გეგმა, განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოები (ელექტრონული პრეზენტაციის სახით).

2. კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რეკომენდაციები სამომავლო სამუშაოებზე.

2017 წლის 29 ნოემბერი

1. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ჯუმბერ ლეჟავას I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;

2. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩის შესახვევის გაგრძელების შესახებ;

3. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩათან არსებული ექვსი უსახელო გასასვლელისთვის დავით აღმაშენებლის სახელის მინიჭების შესახებ;

4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში თენგიზ ჩანტლაძის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული უსახელო ჩიხებისთვის თენგიზ ჩანტლაძის II და III ჩიხების სახელის მინიჭების შესახებ;

5. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტაბახმელას ველის სახელის მინიჭების შესახებ;

6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფ.დიღომში, მარკო პოლოს ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მარკო პოლოს I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;

7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში ტბის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

8. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

9. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში რაჭის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქეთევანის ტბის სახელის მინიჭების შესახებ;

11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უჩა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის თევდორე მხატვრის სახელის მინიჭების შესახებ;

12. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული სამი შესახვევისთვის, ორი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ- მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ;

13. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, საფეხბურთო კლუბი დინამოს ბაზასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფეხბურთელის მიხეილ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

2017 წლის 12 დეკემბერი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა

2017 წლის 5 იანვარი

1. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის #52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

2. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ.

3. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გურამ პატარაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის გზისკარის სახელის მინიჭების შესახებ.

4. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ენათმეცნიერის, პროფესორ ტოგო გუდავას სახელის მინიჭების შესახებ.

5. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმ-პედიატრების, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების სახელის მინიჭების შესახებ.

6. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში უდაბნოს მონასტრის I შესახვევის გაგრძელების შესახებ.

7. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ვახტანგ თედიაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ელიას მთის სახელის მინიჭების შესახებ.

9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ივერთუბნის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარჯნის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში იოსებ ასლანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრის სახელის მინიჭების შესახებ.

2017 წლის 15 მარტი

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ცომაიას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

2. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დაბაკნეთის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დაბაკნეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

3. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

4. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

5. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაბახმელას ველის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

6. ქ. თბილისში, ნაძლადევის რაიონში, ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

7. ქ. თბილიში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის კორნელი სანაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის პიმენ ყურაშვილის I, II და III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

9. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელის მინიჭების შესახებ.

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გუმათჰესის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული შესახვევისთვის ავთო ვარაზის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში,თიანეთის ქუჩის გასასვლელისთვის ჯვარისუბნის სახელის მინიჭების შესახებ.

13. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რიკოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქვითკირის სახელის მინიჭების შესახებ.

14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარტიანის სახელის მინიჭების შესახებ.

15. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ ნასაგურში უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ:

- მოსავლიანის ქუჩა
- წითლიანის ქუჩა

- მუხამწვანეს ქუჩა
- თაკვერის ქუჩა
- ოქროულას ქუჩა
- ათინაურის ქუჩა

16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ.

17. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზეთის ხილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სასულიერო მწერლის, იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ.

18. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოღანლუღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის დადიანეთის სახელის მინიჭების შესახებ.

19. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის კედარის სახელის მინიჭების შესახებ.

20. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბელაქნის სახელის მინიჭების შესახებ.

21. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

22. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მხატვრის ვერა ბელეცკაიას სახელის მინიჭების შესახებ.

23. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ.

2018 წლის 22 მარტი

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარია პერინის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

3. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

5. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

6. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელენე გოკიელის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

7. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების შესახებ.

8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

9. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭების შესახებ.

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზამთრიანის სახელის მინიჭების შესახებ.

2018 წლის 23 აპრილი (2018 წლის 15 მარტის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვა)

2018 წლის 2 მაისი

1. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ.

2. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ.

3. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ.

4. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის ნიკოლოზ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ.

5. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ.

6. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

7. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ.

8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

9. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ.

10. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ.

13. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ.

14. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ.

15. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ.

16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ.

2018 წლის 22 მაისი (2018 წლის 2 მაისის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების დადგენილი წესით ინიციატივებად დარეგისტრირების შესახებ)

2018 წლის 23 მაისი (2018 წლის 2 მაისის დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვა)

2018 წლის 14 ივნისი

1. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლების III მ/რაიონში არსებული უსახელო პარკისთვის ოკუპაციის მსხვერპლთა სახელის მინიჭების შესახებ.

2. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

3. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილების არარად გამოცხადების შესახებ.

4. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ.

5. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას III და IV შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.

6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში საზანოს ქუჩის გაგრძელების შესახებ.

7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

8. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბათუმის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

9. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, დიდგორის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

10. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, II ქუჩის II გასასვლელისთვის პაატა ჯანელიძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ნუშის ბაღების I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

12. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ჭრებალოს სახელის მინიჭების შესახებ.

13. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის ბროწეულას სახელის მინიჭების შესახებ.

14. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ტაძრის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაძრის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

15. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭების შესახებ.

16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ავიაკონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

17. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მამუკა ბუცხრიკიძის სახელის მინიჭების შესახებ.

18. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

19. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ლეიტენანტის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭებოის შესახებ.

20. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში, გუდამაყრის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

21. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერის ირაკლი თოიძის სახელის მინიჭების შესახებ.

22. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

23. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში რაჭის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო შესახვევისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ.

24. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

25. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ძიძიგურის სახელის მინიჭების შესახებ.

26. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის იოსებ კვაჭაძის სახელის მინიჭების შესახებ.

27.ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ვლადიმერ წითლანაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცოლიკაურის სახელის მინიჭების შესახებ.

28.ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, რევაზ სირაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის საბატონოს სახელის მინიჭების შესახებ.

29. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. III ხევნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ბადაგის სახელის მინიჭების შესახებ.

30. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. ახალი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის უსახელოურის სახელის მინიჭების შესახებ.

31. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე. წ. დიდი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიდი ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ.

32. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ.

33. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გია გულუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის რევმატოლოგის, აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ.

34. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, თაბორის მთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თაბორის მთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

35. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ.

36. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფაზისისა და კოლხეთის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიოსკურიას სახელის მინიჭების შესახებ.

37. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რქაწითელის სახელის მინიჭების შესახებ.

გიორგი ბირბიჩაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი

2017 წლის ნოემბრიდან დღემდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ მიერ 33 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 53, გიორგი ბირბიჩაძე დაესწრო 21 სხდომას.

25.06.2018

1. თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები.

18.06.2018

1. დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები.

11.06.2018

1. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის საკითხების განხილვა.

6.06.2018

1. „IRI“-ს კვლევების პრეზენტაციის საკითხი;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროპოლიტენის თანამშრომლებთან მათი ხელფასების მატების საკითხის განხილვა 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)

24.05.2018

1. შპს „ას ჯორჯიას“ მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

21.05.2018

1. ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონში არსებული 16 ლოკაციისთვის სახელის მინიჭების საჯარო განხილვის მოწყობის შესახებ;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსებთან შეხვედრის ორგანიზება კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით.

17.05.2018

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა. (მომხსენებელი: ი. ხმალაძე)

14.05.2018

1. ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობის ანგარიში.

3.05.2018

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში;

3. ქ. თბილისში, სხვადასხვა რაიონსი 18 ლოკაციისათვის სახელის მინიჭების საკითხი.

23.04.2018

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის საქმიანობის ანგარიში.

2.04.2018

1. ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და სითი ინსტიტუტთან შესაჯერებლად ქ.თბილისის მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნა.

5.03.2018

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და ქ. თბილისის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავება.

28.02.2018

1. „ფრაქციის წევრთა შორის უკეთესი კომუნიკაციისთვის ახალი ფორმატის შემუშავების შესახებ“.

19.02.2018

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები;

2. დაგეგმილი პროექტების სწორი პოზიციონირება;

3. საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებთან დაკავშირებული (საკადრო) საკითხები და გახსნის კამპანია;

4. შშმ პირებისათვის მაჟორიტარების მხრიდან ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

24.01.2018

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“. (მომხსენებელი: ი. ელოშვილი)

23.01.2018

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“. (მომხსენებელი: ბ. დავითულიანი)

27.12.2017

1. „საახალწლო ღონისძიებებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ჩართულობის შესახებ“.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2018 წლის სამუშაო გეგმის შესახებ“

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების 2018 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებები“

15.12.2018

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის ჩატარების პროცედურების შესახებ“

12.12.2017

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“.

5.12.2018

1. „ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპების შესახებ“

1.12.2017

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ოფისების ფუნქციური სრულყოფის შესახებ“ (მომხს. ნ. ლაცაბიძე)

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების შესახებ“